საქართველოს მთავრობის

დადგენილება №28

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმები“ დამტკიცების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი –„საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმები“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის №132/ნ ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ.“

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**